

პოლიტიკური ელიტების როლი ტრანზიციის პროცესში

თამთა მეფარიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამთა მეფარიშვილი

27.06.2016

აბსტრაქტი

საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული არაერთი კვლევა ხაზს უსვამს პოლიტიკური ელიტების მნიშვნელობას ტრანზიციის პერიოდში. წინამდებარე ნაშრომი ცდილობს დაამტკიცოს, რომ პოლიტიკური ელიტები უდიდეს როლს თამაშობენ ქვეყანაში ტრანზიციის პროცესების თანმიმდევრულად წარმართვაში და ეროვნული პოლიტიკური ელიტის და ეროვნული ლიდერის ფუნქციები ამ პროცესში ერთმნიშვნელოვნად დიდია.

ნაშრომში საუბარია ზოგადად ელიტების არსზე ,ტიპებზე,ასევე ელიტების მახასიათებლებზე.მიზეზებზე და შედეგებზე ,რომელიც თან ახლავს ელიტების ცვლილებას. ეს ყველა საკითხი , თეორიულ ასპექტებზე დაყრდნობით განხილულია ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის მაგალითზე.მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისებრივი კვლევის კატეგორიას განეკუთვნება და საკვლევი საკითხის ახსნა-გადამოწმება ხდება კონკრეტული ქეისების საფუძველზე.კერძოდ, განხილულია ლატვიის,ლიტვის და ესტონეთის ქეისები საბჭოთა იმპერიიდან გათავისუფლების შემდეგ .კვლევაში ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური ელიტების როლზე დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში.

კვლევის შედეგად დგინდება,რომ ქვეყნის წარმატებული ტრანზიციისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკურ სადავეებთან ეროვნული თვითშეგნების ელიტის დგომა .

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტიკური ელიტა.ტრანზიცია,ეთნიკურობა .

Abstract

Numerous researches in international relations emphasises the importance of political elites in transition period. The present research tries to prove that political elites play enormous role in transition processes and the role of national political elites and national political leaders for this processes is very important.

The thesis studies concept of elites , types and characters ,about reasons and results which is consequence of elite change.

Methodologically , the thesis applies the qualitative methods of the research,so that exploring issues are explained by case study of three Baltic states.Particularly ,post soviet period in Latvia,lithuania and Estonia.

The issues regarding the measures taken by the role of political elites in transition.

The research demonstrates that for successful democratic transition political elites must be ethnically national oriented.

Key Words: Political elite,Transition,Ethnicity